

- ცენტრის ძირითად მიზნებს და საქმიანობას წარმოადგენს:
  - ხელი შეუწყოს მოზარდი თაობის თავისუფალი დროის სწორ ორგანიზაციას, მათი მეცნიერული უნარ-ჩვევების განვითარებას, შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენას, მათ მიერ მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევების ათვისებისათვის პრაქტიკული და თეორიული მუშაობის წარმართვას;
  - აღზარდოს მომავალი თაობა ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით;
  - სასწავლო-შემოქმედებითი მუშაობის ორგანიზაციით ხელი შეუწყოს მოსწავლეების სწრაფვას ქართული კულტურის ისტორიის საფუძვლების ღრმად დაუფლებასში;
  - ჩამოუყალიბოს მოზარდებს ურთიერთპატივისცემა და სიყვარული სხვა ერების კულტურისადმი;
  - ხელი შეუწყოს მოზარდთა ესთეტიკურ აღზრდას, სკოლაში მიღებული ცოდნის გაღრმავებას;
  - მასობრივი და მეთოდური მუშაობის ფორმებით შექმნას პირობები მოსწავლეთა სულიერი, ზნეობრივი და ფიზიკური განვითარების, თავისუფალი შემოქმედებითი აზროვნების, ეროვნული ხედვის გამომუშავების, თვითგამორკვევისა და თვითდამკვიდრების, გონივრული დასვენების და თავისუფალი დროის სწორად გამოყენებისათვის.
  - სენაკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების კულტურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის ხელშეწყობა, მათი დასვენებისა და რეკრეაციის უზრუნველყოფა;
  - არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის (ხალხური ხელოვნების დარგების) განვითარების ხელშეწყობა, მისი ფიქსაცია და პოპულარიზაცია; ხალხური (ხელოსნობის) მივიწყებული, ტრადიციული დარგების აღორძინება და პოპულარიზაცია; ხალხური მთქმელების, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლების შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა; სამუსიკო ქორეოგრაფიული და ზეპირსიტყვიერი ფოლკლორის ნიმუშების შეგროვების, სწავლისა და პოპულარიზაციისათვის ობიექტური პირობების შექმნა; ეროვნული ტრადიციების, წეს-ჩვეულებებისა და ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება;
  - არსებული პირობებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე მცხოვრებთა მოთხოვნილებებისა და ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება;
  - უზრუნველყოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მომსახურება ეროვნების, მრწამსის, სოციალური მდგომარეობისა და საკუთრების ფორმის მიუხედავად;
  - მუნიციპალიტეტში მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების სწორი ორგანიზაცია;
  - საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდების განახლება-შევსება ახალი ბეჭდური პროდუქციით, მათი სრულყოფილად ფორმირება ათწილადი კლასიფიკაციის მიხედვით, დაცვა, პოპულარიზაცია, სრულად და ეფექტურად გამოყენება;
  - საკატალოგო, საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის საქმიანობის მეთოდური სამსახურის სრულყოფა;
  - საბიბლიოთეკო სფეროში არსებული სტანდარტების დაცვა;
  - მკითხველთა უფლებების დაცვა და ხელშეწყობა;

- წიგნადი ფონდების სისტემატიზაცია-კატალოგიზაცია არსებული სტანდარტების დაცვით;
- კულტურული პროგრამების შემუშავება; შემოქმედებითი, კულტურისა და სხვა დარგის მოღვაწეებთან, მოსახლეობის სხვადასხვა ფენებთან შეხვედრების მოწყობა;
- წიგნების განხილვები, კომერციული, საქველმოქმედო და სხვა სახის შემეცნებითი და შემოქმედებითი ღონისძიებების მოწყობა;
- უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური, საბუნებისმეტყველო ისტორიის მასალათა აღრიცხვა და დაცვა;
- სამუზეუმო ფასეულობათა მოპოვება და დაცვა, მათი შესწავლა, ჩვენება და პოპულარიზაცია;
- ისტორიული პროცესებისა და მასალების შესწავლა, რომლებიც დაკავშირებულია გამოჩენილ პიროვნებებთან, მათი პროგრესული მნიშვნელობის გამოვლენა და ფონდების დაკომპლექტება;
- ექსპოზიციების, სტაციონალური და მოძრავი გამოფენების შექმნა, რომლებიც მუზეუმის სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობის ბაზაა;
- ქართული და მსოფლიო სახვითი, დეკორატიულ-გამოყენებითი და ხალხური შემოქმედების პროპაგანდა. ამ მიზნით გალერეა თავს უყრის, იცავს და შეისწავლის სახვითი, დეკორატიულ-გამოყენებითი და ხალხური შემოქმედების ნაწარმოებებს, აწყობს გამოფენებს გალერეის საგამოფენო სივრცეში;
- სხვადასხვა კულტურული პროგრამების დაგეგმვა და ხელშეწყობა, გამოფენების მოწყობა.